



*2013 წელს თეატრის საერთაშორისო დღეს
გვილოცავს ცნობილი იტალიელი
დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, ნობელის
პრემიის ლაურეატი დარियो ფო. ჩვენც
ვუერთდებით თეატრის საერთაშორისო დღის
მილოცვას და გადმოვცემთ მის მიმართვას:*

თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი

საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ორგანიზაცია

მსოფლიო თეატრის დღე / 2013 წელი

დარियो ფოს გზავნილი

დიდი ხნის წინათ, ხელისუფლებამ კომედია დელ არტეს მსახიობებს სხვა რომ ვერაფერი მოუხერხა, ქვეყნიდან განდევნა.

დღეს ბევრ მსახიობს თუ მთელ დასს უჭირს საჯარო სივრცის, თეატრის, მაყურებლის მოძიება, რადგან საყოველთაო კრიზისია.

ხელისუფლებაც უკვე აღარ იწუხებს თავს მათი გაკონტროლებით, ვინც ირონიითა და სარკაზმით ცდილობს გამოხატოს თავისი სათქმელი, რამდენადაც მათ არც ადგილი გააჩნიათ, საიდანაც ხალხს მიმართავენ, და არც აუდიტორია, ვისაც უნდა მიმართონ.

არადა, რენენსანსის ეპოქაში როგორ უჭირდათ იტალიის მმართველებს კომედიანტების მოთოკვა. მაშინ მათ ფართო აუდიტორია სიამოვნებით უსმენდა.

კომედია დელ არტეს მსახიობთა დიდი გაძევება კონტრეფორმაციის ხანაში მოხდა, როდესაც გამოიცა დეკრეტი თეატრების დახურვის შესახებ, განსაკუთრებით რომში, რადგან მათ წმინდა ქალაქის შეურაცხყოფა დასდეს ბრალად. 1697 წელს, პაპმა ინოკენტი XII –მ, ბურჟუაზიის კონსერვატიული ფრთისა და სამღვდლოების გავლენიანი წარმომადგენლების დაჟინებული მოთხოვნით, ბრძანა დაენგრიათ თეატრი ტორდინონა, რომელიც, როგორც მორალისტები ამბობდნენ, ამორალურ პიესებს უჩვენებდა მაყურებელს.

სწორედ კონტრეფორმაციის ხანაში, კარდინალმა კარლო ბორომეომ, რომელიც იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში მოღვაწეობდა და თავი „მილანის შვილთა“ ხსნას მიუძღვნა, საერთოდ გამიჯნა ერთმანეთისაგან ხელოვნება-როგორც სულიერი აღზრდის უმაღლესი ფორმა და თეატრი – უხამსობისა და პატივმოყვარეობის მანიფესტაცია. თანამოაზრეებისადმი მიძღვნილ წერილში იგი დაახლოებით ასეთ აზრს გამოთქვამდა: “ბოროტების აღმოსაფხვრელად რა ღონე არ ვიხმარეთ - დავწვით უხამსი ტექსტები, რათა სამუდამოდ წაგვეშალა ისინი ხალხის მეხსიერებიდან, პასუხისგებაში მივეცით ყველა, ვინც ამ ტექსტების დაბეჭდვა - გავრცელებაში მონაწილეობდა, მაგრამ სატანას არ სძინავს. უფრო ცბიერი ხერხი მოძებნა. თვალთ ნანახი უფრო სულში ჩამწვდომია, ვიდრე ის, რასაც წიგნში ამოიკითხავ.

წარმოთქმული სიტყვა და ჟესტი მეტად ანგრევს ახალგაზრდის გონებას, ვიდრე წიგნში დაბეჭდილი მკვდარი სიტყვა. აი რატომ უნდა მოვიშოროთ სასწრაფოდ თეატრის ხალხი, როგორც ავი სულები.”

თუ ყოველივე ამას არ დავივიწყებთ, კრიზისის დაძლევის ერთადერთ გზად იმედი გვრჩება, რომ დიდი გამეგება ჩვენს წინააღმდეგ იყო მოწყობილი. ყველა იმ ახალგაზრდის წინააღმდეგ, ვისაც სურვილი აქვს შეისწავლოს თეატრის ხელოვნება. კომედიანტების ახალი დიასპორა – თეატრის შემქმნელები, ახალ გამომსახველობით საშუალებებს მოძებნიან და იმ შევიწროების საპასუხოდ, ბევრად მეტს გააკეთებენ.

ინგლისურიდან თარგმნა მანანა ანთაძემ